



საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 17 მარტის №01-06-02/
10 დადგენილებით

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის
დეპარტამენტის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) საზოგადოებასთან ურთიერთობის, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს დეპარტამენტის საქმიანობის საფუძვლებს, მიზნებს, ამოცანებს, ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს.
3. დეპარტამენტიანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის უფროსის (კანცლერი) წინაშე, რომლებიც ახორციელებენ დეპარტამენტის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. დეპარტამენტის მიზნები და ამოცანები

1. დეპარტამენტის მიზნებია:

- ა) კულტურის, ხელოვნების, ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტის პოპულარიზაცია საუნივერსიტეტო სივრცეში და ამ მიზნით არსებული ინფრასტრუქტურის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება;
- ბ) უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ზრუნვა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის მათი ინტერესების შესაბამისი გარემოს და კომფორტული პირობების შესაქმნელად;
- გ) სტუდენტებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მკვლევარებს და დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის ურთიერთობების გაღრმავება;
- დ) უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესის გაშუქება და სპეციალური პროგრამების მომზადება საუნივერსიტეტო ტელევიზიით;
- ე) კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. დეპარტამენტის ამოცანებია:

- ა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში მისი პოპულარობის ხარისხის ამაღლების და იმიჯის გამყარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-ორგანიზება;
- ბ) სტუ-ს მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების პროგრამებისა და პროექტების მომზადებაში აქტიური ჩართულობა და საუნივერსიტეტო ტელევიზიით გაშუქება ;
- გ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამის სახელმწიფო, არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან/ჯგუფებთან ურთიერთობის დამყარება;
- დ) საზოგადოებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა. საინფორმაციო კამპანიების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი მასალების მომზადება-გავრცელება უნივერსიტეტის ტელევიზიით;
- ე) საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან თემატური შეხვედრების, პრესკომფერენციების მოწყობა-ორგანიზება;
- ვ) ერთობლივი კულტურული, სპორტული, სოციალური და სატელევიზიო პროექტების შემუშავება-განხორციელება, შესაბამის უწყებებთან, ორგანიზაციებთან და ა.შ. ერთად;
- ზ) სტუ-ს მეგობარ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტების შესაბამის დეპარტამენტებთან კავშირების დამყარება, ერთობლივი კულტურული, სპორტული და სოციალური აქტივობების განხორციელება;
- თ) დეპარტამენტის სოციალური ქსელის და ვებ-გვერდის მართვა;
- ი) დეპარტამენტის საქმიანობის ამსახველი ფოტო- და ვიდეო-არქივის შექმნა-განახლება;
- კ) კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტებსა და სტუ-ს მენეჯმენტს, საუნივერსიტეტო საზოგადოებას, ადმინისტრაციულ პერსონალს, აკადემიურ საზოგადოებას შორის, კვალიფიციური და ეფექტური კავშირის დამყარება;
- ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტებს და სპორტული- კულტურული საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ეფექტური კავშირების დამყარება;
- მ) სტუ-ს სტუდენტების კულტურულ-სპორტული, საგანმანათლებლო-შემეცნებითი განვითარების კონცეფციის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
- ნ) სტუ-ს შემოქმედებით და სპორტულ სეგმენტთან (თეატრი, კაპელა, ფოლკლორული ანსამბლი, მუსიკალური და სხვა სახელოვნებო ჯგუფები, სტუ-ს სპორტულ გუნდებთან) მიზნობრივი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, მათი მაქსიმალური ხელშეწყობა და გაძლიერება, საუნივერსიტეტო ტელევიზიით მათი საქმიანობის მაქსიმალური გაშუქება-პოპულარიზაცია;
- ო) ხელოვნების და სპორტის სხვადასხვა მიმართულებებით გატაცებულ სტუდენტთა საინფორმაციო ბაზის შექმნა;

პ) ჯანსაღი ცხოვრების წესის, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია საუნივერსიტეტო სივრცეში;

ჟ) სოციალური აქტივობების განხორციელება;

რ) სტუ-ს კურსდამთავრებული გამოჩენილი ხელოვნებისა და სპორტის მოღვაწეთა საინფორმაციო ბაზის შექმნა, მათთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება და საუნივერსიტეტო აქტივობებში მათი ჩართვა;

ს) სტუდენტებისათვის თემატური, შემეცნებითი სახის შეხვედრების მოწყობა ხელოვნებისა, სპორტის და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებთან;

ტ) სტუ-ს ტელევიზიის მუშაობაში, მედიატექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა და პრაქტიკული მომზადება, სხვადასხვა სახის სატელევიზიო, საგანმანათლებლო და სასწავლო პროექტების მომზადება/განხორციელება;

უ) უნივერსიტეტის მიმდინარე საქმიანობის და ისტორიის გაშუქება;

ფ) მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ტელევიზიის რესურსის ჩართვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესში;

ქ) მეცნიერების სფეროებში მიდინარე თანამედროვე პროცესების საერთაშორისო სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ღ) სტუდენტთა ჩართვა ტელევიზიის საქმიანობაში უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;

ყ) ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა მაუწყებლების მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) გადაცემების, ფილმების და სხვა პროდუქციის მოზიდვა;

შ) სატელევიზიო არქივის შექმნა;

ჩ) დეპარტამენტის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ზედამხედველობა, განვითარება დამისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ც) საქმიანობის სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და თანამშრომლები

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.

2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) წინაშე.
3. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.
4. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.
5. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულია:
 - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.
6. დეპარტამენტში შედის სხვადასხვა მიმართულების მუსიკალური ანსამბლები და შემოქმედებითი ჯგუფები, სპორტის სხვადასხვა სახეობათა გუნდები და კლუბები.
7. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
8. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
9. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, მოვალეობას ასრულებს მოადგილე ან დეპარტამენტის უფროსისმიერ განსაზღვრული პირი რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან (კანცლერთან) შეთანხმებით, ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.

მუხლი 4. დეპარტამენტის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

1. დეპარტამენტის უფროსი:
 - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
 - ბ) პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
 - გ) ანაწილებს თანამშრომლებს შორის ფუნქციებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას, უფლებამოსილია მიიღოს სათანადო ადმინისტრაციული ზომები, დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვადაზე ადრე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება ან/და დააწინაუროს დეპარტამენტის თანამშრომელი რექტორთან შეთანხმებით;
 - დ) შეიმუშავებს დეპარტამენტის საქმიანობისა და განვითარების სტრატეგიას;
 - ი) უზრუნველყოფს ურთიერთობების დამყარებას და აქტიურ თანამშრომლობას, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან სტუდენტთა განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან;
 - კ) უზრუნველყოფს ურთიერთობების დამყარებას და აქტიური თანამშრომლობას, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვა უმაღლესი სასწავლებლების შემოქმედებით ჯგუფებთან,

მუსიკისა და ხელოვნების წრის წარმომადგენლებთან და სპორტის სხვადასხვა სახეობის ასოციაციებთან;

ლ) წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურისა და სამტატო განრიგის სრულყოფის მიზნით;

მ) პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციაზე, დისციპლინარული ღონისძიებების ინიცირებაზე;

ნ) წარადგენს შუამდგომლობას რექტორთან იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა დეპარტამენტის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ო) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს დეპარტამენტის მიერ შესასრულებელი ამოცანების პრიორიტეტიზაციაში;

ბ) აკონტროლებს და ხელს უწყობს დეპარტამენტისათვის დასახული ამოცანების მიღწევის პროცესს;

გ) საჭიროებისამებრ, წარმართავს მაღალი დონის კომუნიკაციას, მოსამზადებელ შეხვედრებს, მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან უშუალოდ დეპარტამენტის უფროსის დავალებით/მითითებით ან/და შესაბამისი სამართლებრივი აქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) დეპარტამენტის თანამშრომლებს აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით;

ე) მონაწილეობს ან თავად უწევს ორგანიზებას და კონტროლს დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, არეგულირებს და წყვეტს პროფესიულ და ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დეპარტამენტის ეფექტური მუშაობისთვის, დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით;

ვ) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების პროცესში;

ზ) დეპარტამენტის უფროსის დავალებით ასრულებს სხვა ფუნქციებს.

3. განყოფილების უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს განყოფილების წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებს და პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე;

ბ) ახორციელებს განყოფილების თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობას;

გ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს და წარადგენს სხვადასხვა ხასიათის ინიციატივებს, შესაბამისი დასაბუთებით;

დ) კომპეტენციის ფარგლებში კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან დეპარტამენტის უფროსის დავალებით;

ე) დეპარტამენტის უფროსის დავალებით ასრულებს განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

4. საუნივერსიტეტო ტელევიზიის მენეჯერი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს საუნივერსიტეტო ტელევიზიის საქმიანობას და პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს თანამშრომლებს შორის ფუნქციებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით;

გ) შეიმუშავებს სატელევიზიო ბადას უნივერსიტეტის საქმიანობის და დასახული ამოცანების მაქსიმალურად მაღალ ეფექტურად გასაშუქებლად;

დ) საჭიროების შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსთან ერთად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აწვდის არგუმენტირებულ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს ტელევიზიის საკადრო ცვლილებების ან თანამშრომელთა მიმართ დისციპლინარული ან წახალისების ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;

ე) წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს დეპარტამენტის უფროსს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დადგენილ ვადებში;

ვ) პერიოდულად ისმენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს დაქვემდებარებული თანამშრომლებისაგან;

ზ) უფლებამოსილია დასვას ტელევიზიის საშტატო ნუსხის გაზრდის ან შემცირების საკითხი დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით;

თ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა და რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

6. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

7. დეპარტამენტის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 5. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებია:

- ა) სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება და მათ მოსაზიდად შესაბამისი მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება;
- ბ) საქართველოსა და მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევა და კვლევის შედეგების რექტორისთვის წარდგენა;
- გ) სხვადასხვა სახის სარეკლამო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება, კამპანიების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზომვა;
- დ) ჩართული და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების დაკმაყოფილების ყოველწლიური კვლევის ჩატარება;
- ე) უნივერსიტეტის ყოველწლიური SWOT ანალიზის განხორციელება, სუსტი მხარეებისა და გამოწვევების დაძლევის მიზნით შესაბამისი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა და განხორციელების პროცესის კოორდინაცია;
- ვ) უნივერსიტეტის ფაკულტეტების/სკოლის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და ცენტრების მიერ შესრულებული სამუშაოების და ინოვაციური წინადადებების ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა, შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების ანალიზი, ფასთაკვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ზ) საქართველოს საგანმანათლებლო ბაზრის დინამიკის მონიტორინგი და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება;
- თ) უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების მართვის ხელშეწყობა;
- ი) მარკეტინგის კუთხით უნივერსიტეტის განვითარების გეგმის შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა;
- კ) უნივერსიტეტის მარკეტინგული ღონისძიებების გეგმის შემუშავება და იმპლემენტაცია;
- ლ) მარკეტინგის კუთხით უნივერსიტეტის ბრენდის ფორმირება, მუდმივი განახლება და განვითარება;
- მ) ყველა სახის ვიზუალური მასალის კოორდინაცია ერთიანი კორპორატიული საუნივერსიტეტო სტილის დაცვის მიზნით; მარკეტინგის კუთხით უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შედგენის პროცესში ჩართულობა;
- ნ) უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის მხარდაჭერა სტრატეგიული კომუნიკაციის, მედიასთან ურთიერთობის და მარკეტინგული კვლევებისა და აქტივობების მიმართულებით;
- ო) უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პოპულარიზაცია, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის გარეთ;
- პ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ფაკულტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უნივერსიტეტის მიღწევებისა და კონკურენტული უპირატესობების შესახებ საზოგადოებისა და სამიზნე აუდიტორიის ინფორმირება;
- ჟ) უნივერსიტეტის და მისი ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, სტუდენტების, სასწავლო პროგრამების და პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა

დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის ფართო საზოგადოებისა და მედიისთვის შესაბამისი ფორმით მიწოდება;

რ) უნივერსიტეტის და მისი თანამშრომლების მედიასთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ს) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) პერიოდული თემატური მიმოხილვის მომზადება და უნივერსიტეტის თანამდებობის პირებისათვის გასაცნობად წარდგენა;

ტ) უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური შეტყობინებების, პრესრელიზების, განცხადებების და საინფორმაციო ხასიათის მასალების მომზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მათი გავრცელების უზრუნველყოფა;

უ) უნივერსიტეტის, მისი ძირითადი საგანმანათლებლო (ფაკულტეტი, სკოლა) და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტი, ცენტრი) პოპულარიზაციის მიზნით მინიმუმ წელიწადში ერთხელ მედია ტურების მოწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო მედია ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის;

ფ) უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ჩატარების ორგანიზება;

ქ) კრიზისულ სიტუაციებში და ასევე უნივერსიტეტის დისკრედიტაციის მიზნით მიმართული საინფორმაციო კამპანიების წინააღმდეგ შესაბამისი არხების გამოყენებით ეფექტური კრიზისული სტრატეგიული კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

ღ) უნივერსიტეტის მასშტაბით ორგანიზებული ყველა სახის ღონისძიების (კონფერენციები, პრეზენტაციები, თემატური სემინარები და ა.შ.) გაშუქების უზრუნველყოფა, ვიდეო და ფოტო გადაღების წარმოება და შესაბამისი პრესრელიზების მომზადება და განთავსება, როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე ოფიციალურ სოციალურ ქსელებში;

ყ) დაინტერესებულ და ჩართულ მხარეებთან პროაქტიული კომუნიკაცია;

შ) უნივერსიტეტის ვებგვერდის და სოციალური ქსელების ადმინისტრირება, ვიზუალური და საინფორმაციო მასალების დროული განთავსების უზრუნველყოფა;

ჩ) სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ და ჩართულ მხარეებთან ინტერაქტიული კომუნიკაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ინიციატივების შემუშავება და განხორციელება;

ც) უნივერსიტეტის მედია არქივის წარმოება და მართვა;

ძ) უნივერსიტეტის პრეს-სპიკერის ფუნქციების შესრულება;

ჭ) დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციაზე კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება;

2. განყოფილებაში არსებული ტელევიზია უზრუნველყოფს:

ა) უნივერსიტეტის მიმდინარე საქმიანობის და ისტორიის გაშუქებას;

ბ) მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ტელევიზიის რესურსის ჩართვას სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესში;

გ) მეცნიერების სფეროებში მიდინარე თანამედროვე პროცესების საერთაშორისო სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის ხელშეწყობას;

- დ) სტუდენტთა ჩართვას ტელევიზიის საქმიანობაში უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;
- ე) ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა მაუწყებლების მიერ შექმნილი საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო (შემეცნებითი) გადაცემების, ფილმების და სხვა პროდუქციის მოზიდვას;
- ვ) სატელევიზიო არქივის შექმნას;
- ზ) სტუდენტთა პრაქტიკულ მომზადებას შემდგომში სატელევიზიო მაუწყებლობაში მუშაობისათვის;
- თ) დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ინდივიდუალური აქტებით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელებას.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.